



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 344

12/02/2018

ქალაქი ბათუმი

344-05-4-201802121200



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კომენდატურა“-ს სახლის სახურავის მოწყობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N16 დადგენილების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის N15 დადგენილების მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კომენდატურა“-ს თავჯდომარეს ქალბატონ ციალა ბერიძის 2017 წლის 01 სექტემბრის N10030/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კომენდატურა“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი სახლის სახურავის მოწყობაზე;
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ.ნაკაშიძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურმა (მ.კვირიტიძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები;
3. ბრძანება შეძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა